ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 30 იანვარი 2013 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა (ს/კ. 437058014) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ. 437058498) მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14^4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 38-ე მუხლის შესაბამისად:

1. დაიწყოს რეორგანიზაციის პროცესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა (ს/კ.437058014) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ. 437058498) მიმართ, უფლებამონაცვლე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შექმნის საფუძველზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“ (ს/კ.437058014) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“ (ს/კ.437058498) რეორგანიზებულ იქნეს უფლებამონაცვლე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ.

3. დაევალოს, რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფს უფლებამონაცვლე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდების პროექტის შემუშავება.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განახორციელოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდების დამტკიცება, რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის დამფუძნებლად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

Created by free version of DocuFreezer

6. განკარგულება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 38-ე მუხლების მე-4 ნაწილის შესაბამისად, გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ – ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით.

7. არასამეწამეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

9. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer